ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №598765

ნომერი: AR1112891

თარიღი : 28.02.2013

გაცემის თარიღი : 19.03.2013

გაცნობის თარიღი : 20.03.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინამძღვრიშვილი , N 121 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი დანელია პ/ნ 62001019147
- სოხუმი ძიგუას ქ. N 25

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.16.01.010.014) საზღვრების კორექტირებული ვარიანტის მიხედვით ფიქსირდება გადაფარვა საკადასტრო ერთეულთან (საკადასტრო კოდი: #01.16.01.010.015) ასევე, ეგნატე ნინოშვილის და კოტე ფოცხვერაშვილის ქუჩების მხარეს საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვრები გადადის ტროტუარზე, შესაბამისად სატრანსპორტო ზონა–1–ში (ტზ–1).

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური, ამ ეტაპზე, მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, თუმცა ზემოაღნიშნული პრობლემების აღმოფხვრის შემდგომ, მოცემული მიწის ნაკვეთის საპროექტო საზღვრების ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური ხელახლა განიხილავს მოცემულ საკითხს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge